

**შპს „ფოთის მარცვლეულის ტერმინალი“
2018 წლის ფინანსური ანგარიშგება
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად**

თბილისი

2019

ს ა რ ზ ე ვ ი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა	3
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა შპს „ფოთის მარცვლეულის ტერმინალი“-ს 2018 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე	4
შპს „ფოთის მარცვლეულის ტერმინალი“-ს 2018 წლის ფინანსური ანგარიშგება: ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	8
საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	9
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	10
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	11

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ განხორციელებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და განმარტებით შენიშვნებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებული მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც გარემოებები ამას შეუძლებელს ხდის.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ეფექტიანი და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ასევე ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშო პერიოდისთვის დადასტურებულია ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია 2019 წლის 27 სექტემბერს:

დირექტორი ----- რამაზ ჟამუტაშვილი

მთ. ბუღალტერი ----- ნათელა კალანდაძე

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ფოთის მარცვლეულის ტერმინალი“-ს პარტნიორებს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ფოთის მარცვლეულის ტერმინალი“-ს (საიდენტიფიკაციო კოდი - 415082608) (შემდგომში - „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ების) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან „ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA-კოდექსი) და საქართველოში მოქმედი ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებული ეთიკის ნორმების შესაბამისად და ჩვენ აგრეთვე შევასრულეთ IESBA-კოდექსის და ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებები. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს საწარმოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის

შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავეგემოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე

მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგად გაიცა აღნიშნული დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა:

გიორგი ცერცვაძე

შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“

საქართველო, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 41.

27 სექტემბერი, 2019 წელი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(1 ლარი)

	31 დეკემბერი, 2018 წ.	31 დეკემბერი, 2017 წ.	შენიშვნა
მოკლევადიანი აქტივები:			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	101 651	916	3.1.
დებიტორული დავალიანება მიწოდებიდან და მომსახურებიდან	77 196	72 562	3.2.
მარაგები	35 966	37 110	3.3.
გადახდილი ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები	1 418 731	1 425 089	
სხვა მიმდინარე აქტივები	10 473	-	3.4.
მოკლევადიანი აქტივები სულ:	1 644 016	1 535 677	
გრძელვადიანი აქტივები:			
ძირითადი საშუალებები	5 027 288	5 279 423	3.5.
არამატერიალური აქტივები	8 475	8 475	
გრძელვადიანი აქტივები სულ:	5 035 763	5 287 898	
აქტივები სულ:	6 679 779	6 823 575	
მოკლევადიანი ვალდებულებები:			
ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	130 717	28 245	3.6.
საგადასახადო ვალდებულებები	221 155	223 074	3.7.
მოკლევადიანი სესხები	337 950	302 802	3.8.
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	622 077	777 314	3.9.
მოკლევადიანი ვალდებულებები სულ:	1 311 898	1 331 436	
გრძელვადიანი ვალდებულებები:			
გრძელვადიანი სესხები	1 337 158	1 258 976	3.10.
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	4 225 972	20 505	3.11.
მოკლევადიანი ვალდებულებები სულ:	5 563 130	1 279 482	
კაპიტალი			
დაგროვილი მოგება/(ზარალი)	(195 249)	4 212 657	3.12
კაპიტალი სულ:	(195 249)	4 212 657	
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	6 679 779	6 823 575	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2019 წლის 27 სექტემბერს და ხელმოწერილია:

დირექტორი ----- რამაზ ჟამუტაშვილი

მთ. ბუღალტერი ----- ნათელა კალანდაძე

თანდართული შენიშვნები მე-11-დან 33-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	2018 წელი	2017 წელი	შენიშვნა
შემოსავალი რეალიზაციიდან და მომსახურებიდან	2 988 721	6 944 681	3.13.
რეალიზებული საქონლის და მომსახურების			
თვითღირებულება	(1 982 237)	(4 867 097)	3.14.
მოგება ძირითადი საქმიანობიდან	1 006 484	2 077 584	
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(604 909)	(860 776)	3.15.
საექვო მოთხოვნების კორექტირება	(7 036)	(3 119)	
სხვა საოპერაციო ხარჯები	(439 348)	(569 530)	3.16.
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან	(44 810)	644 159	
ფინანსური ხარჯი	(142 562)	(73 407)	3.17.
მოგება/(ზარალი) საკუროს სხვაობებიდან	(29 447)	(114 212)	
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	14 384	1 733	3.18.
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(4)	(656)	3.19.
მოგება/(ზარალი) დაზგვრამდე	(202 440)	457 617	
მოგების გადასახადი	(205 466)	-	
წლის წმინდა მოგება	(407 906)	457 617	
წლის სრული შემოსავალი	(407 906)	457 617	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2019 წლის 27 სექტემბერს და ხელმოწერილია:

დირექტორი ----- რამაზ ჟამუტაშვილი

მთ. ბუღალტერი ----- ნათელა კალანდაძე

თანდართული შენიშვნები მე-11-დან 33-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება/ (ზარალი)	სულ სათაო კომპანიის მფლობელებზე მიკუთვნებადი	არამაკონტროლებელ წილზე მიკუთვნებადი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 31.12.2016-თვის	-	3 755 041	1 020 108	2 734 933	3 755 041
საანგარიშგებო პერიოდის ზარალი	-	457 617	233 385	224 232	457 617
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	-	4 212 658	1 253 493	2 959 165	4 212 658
ნაშთი 31.12.2017-თვის	-	4 212 658	1 253 493	2 959 165	4 212 658
საანგარიშგებო პერიოდის ზარალი	-	(407 906)	(208 032)	(199 874)	(407 906)
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	-	3 804 752	1 045 460	2 759 291	3 804 752
განაწილებული დივიდენდი	-	(4 000 000)	(4 000 000)	-	(4 000 000)
სულ მესაკუთრებთან განხორციელებული ოპერაციები	-	(4 000 000)	(4 000 000)	-	(4 000 000)
ნაშთი 31.12.2018-თვის	-	(195 248)	(2 954 540)	2 759 291	(195 248)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2019 წლის 27 სექტემბერს და ხელმოწერილია:

დირექტორი ----- რამაზ ჟამუტაშვილი

მთ. ბუღალტერი ----- ნათელა კალანდაძე

თანდართული შენიშვნები მე-11-დან 33-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	2018 წელი	2017 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მყიდველებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	2 948 181	7 194 840
სხვა შემოსულობანი საოპერაციო საქმიანობიდან	-	158 000
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(2 092 768)	(6 599 596)
გაცემული შრომის ანაზღაურება	(408 544)	(568 030)
ანგარიშვალდებულ პირებზე გაცემული ავანსები	77	-
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	(161 785)	(198 500)
გადახდილი მოგების გადასახადი		(35 000)
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(6 424)	(14 129)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	278 736	(62 415)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	(10 000)	(23 777)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	(10 000)	(23 777)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:		
სესხების აღება	355 050	1 566 110
სესხების დაფარვა	(292 784)	(123 508)
გადახდილი პროცენტები	(120 483)	(63 222)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	(171 217)	(50 620)
ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა / კლება (ნეტო)	3 216	(3 234)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	100 735	(140 045)
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	916	140 961
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	101 651	916

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2019 წლის 27 სექტემბერს და ხელმოწერილია:

დირექტორი ----- რამაზ ჟამუტაშვილი

მთ. ბუღალტერი ----- ნათელა კალანდაძე

თანდართული შენიშვნები მე-11-დან 33-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

2018 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. წინამდებარე 2018 წლის ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ფოთის მარცვლეულის ტერმინალი“-ს (შემდგომში - კომპანია) მიერ. შპს „ფოთის მარცვლეულის ტერმინალი“ დარეგისტრებულია 2011 წლის 06 ივნისს ქ. თბილისის საჯარო რეესტრის მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 415082608, იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ., №61. დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის პარტნიორებს წარმოადგენენ:

შპს „აგრიკომი“ (ს/კ 205090159), რომელსაც ეკუთვნის კაპიტალში წილის 51%;

შპს „თაურ ქეფითელ თრეიდიנגი“ (TOWER CAPITAL TRADING) (ვირჯინიის კუნძულები (ბრიტ.), 1646564), რომელსაც ეკუთვნის კაპიტალში წილის 49%.

1.3. კომპანიის ხელმძღვანელი ორგანოებია:

ა) უმაღლესი ორგანო - პარტნიორთა კრება;

ბ) აღმასრულებელი ორგანო - დირექტორი.

წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი - 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის დღეს არის დირექტორი - რამაზ ჟამუტაშვილი.

1.4. კომპანიას არ ჰყავს შვილობილი საწარმოები.

1.5. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობებია:

სილოსებით მარცვლეულის შენახვის მომსახურება;

ტვირთვებთან დაკავშირებული ჩატვირთვა-გადმოტვირთვის მომსახურება;

მარცვლეულით (ძირითადად ხორბლით) საბითუმო ვაჭრობა.

1.6. ბიზნეს-გარემო

კომპანია საქმიანობას ეწევა საქართველოში და მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები. საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას. განვითარებადი ქვეყნისთვის დამახასიათებელია ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, რაც ხშირად წარმოშობს საკამათო საკითხებს სახელმწიფო ორგანოებსა და მოქმედ კომერციულ კომპანიებს შორის.

1.7. წესდების მიხედვით, სამეურნეო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება 2016 წლიდან წარმოებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ მიღებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS ანუ „ფასს“-ები) მიხედვით.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია.

ფინანსური ანგარიშგების „ფასს“-ებთან შესაბამისობით მომზადება მენეჯმენტისგან ითხოვს დაშვებების, შეფასებებისა და მოსაზრებების გამოთქმას, რომლებიც მოქმედებენ ფინანსური აღრიცხვის პოლიტიკების გამოყენებასა და აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლისა და ხარჯების, ასევე პირობითი აქტივებისა და პირობითი ვალდებულებების თანხებზე. შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია „ფასს“-ების ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ

მოელის, რომ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2018 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს კომპანიის ცალკე მდგომ ფინანსურ ანგარიშგებას. კომპანია წარმოადგენს ჯგუფში შემავალ კომპანიას რომლის მშობელი საწარმოს - შპს „აგრიკომის“ 2018 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შედგენილია და შესაბამისი აუდიტორული დასკვნა ჩვენს მიერ გაცემულია 2019 წლის 27 სექტემბერს.

2.5. კომპანიის მიერ ფაქტობრივად გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების ძირითადი საფუძველი

კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს ფასს-ების შესაბამისად. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მოიცავს: ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებას, ფულადი ნაკადების ანგარიშგებას და განმარტებით შენიშვნებს. მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება დგება ხარჯების კლასიფიკაციით ფუნქციური დანიშნულების მიხედვით, ხოლო ფულადი ნაკადების ანგარიშგება - პირდაპირი მეთოდით.

საანგარიშგებო პერიოდი

საანგარიშგებო წელი ემთხვევა კალენდარულ წელს. 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლის ბოლოს მდგომარეობით მონაცემები იგივეა, რაც მომდევნო წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოყვანილი მონაცემები.

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით. შემოსავლები აღიარდება, როდესაც არსებობს სარწმუნო მტკიცებულებები, როდესაც მყიდველს გადაეცემა მნიშვნელოვანი რისკები და

საკუთრების უფლება საქონელზე, გაწეულია გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები და საიმედოდ შეფასებულია საქონლის შესაძლო უკან დაბრუნება.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

კომპანიის სხვა შემოსავალს წარმოადგენს ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული მოგება, კრედიტორებისგან მიღებული კრედიტ-ნოტები, დადებითი სავალუტო საკურსო სხვაობა, საპროცენტო შემოსავალი საქართველოს კომერციულ ბანკებში განთავსებული დეპოზიტებიდან, გაცემული სესხებიდან, ფასიანი ქაღალდებიდან და თამასუქებიდან და სხვა გაუთვალისწინებელი შემოსავლები. კომპანია საპროცენტო შემოსავალს აღიარებს იმ პერიოდის შესაბამისად, რა პერიოდშიც ხდება შემოსავლის მიღება და ასახავს მას მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი მუხლები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტაში ასახული ფულადი მუხლების გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით, თუ კომპანიას აქვს ამ თანხის სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება

დაქირავებულ პირთაგან წარსულში მიღებული მომსახურების/შესრულებული სამუშაოს საფუძველზე და ეს ვალდებულებები შეიძლება შეფასდეს საიმედოდ.

საექვო მოთხოვნების აღიარება

სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 1 წელზე მეტი, ხდება მისი გაუფასურების აღიარება: როდესაც დებიტორთან თანხის მოძრაობა არ არის - 100%-ით, ხოლო თუ არის თანხის მოძრაობა, მაგრამ დავალიანების ნაშთი რჩება ან/და მინიმალურად იცვლება - 50-70%-ით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) საინვესტიციო ქონების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ დღიდან, როცა დაიწყო ძირითადი საშუალების/ საინვესტიციო ქონების გამოყენება.

დ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის

დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები	- 5%;
მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები	- 20%;
სატრანსპორტო საშუალებები, გარდა სპეციალური დანიშნულების სატრანსპორტო საშუალებებისა	- 20%;
სპეციალური დანიშნულების სატრანსპორტო საშუალებები	- 8%
ოფისის აღჭურვილობა	- 20%;
კომპიუტერული ტექნიკა	- 25%
ავეჯი და ინვენტარი	- 20%;
სხვა ძირითადი საშუალებები	- 8% - 25%.

ე) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 15%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.6. გადასახადები

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებული მოგების გადასახადების ხარჯებს.

გადავადებული მოგების გადასახადი ან გადავადებული საგადასახადო აქტივი გამოითვლება საბალანსო ვალდებულებების მეთოდით ყველა იმ დროებითი სხვაობების გათვალისწინებით, რომლებშიც წარმოიქმნება ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო

სტანდარტებით გამოთვლილ აქტივსა (ვალდებულებებსა) და საგადასახადო კანონმდებლობის გათვალისწინებით გამოთვლილ აქტივებს (ვალდებულებებს) შორის.

მიმდინარე მოგების გადასახადი 2017 წლამდე გამოითვლება საგადასახადო მოგებიდან (საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული საგადასახადო შემოსავლებსა და გამოსაქვით ხარჯებს შორის სხვაობიდან) მოგების გადასახადის მოქმედი განაკვეთის გამოყენებით.

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა 2023 წლის 1 იანვრიდან.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, გარდა ზოგიერთი საქმიანობის მიმდევარი კომპანიებისა (მაგალითად, კომერციული ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლიმბარდები და სხვ.), როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2018 წელს საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი იყო 15%.

2.7. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ის ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.8. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.5922 ლარი; 1 EUR=3.1044 ლარი.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6766 ლარი; 1 EUR=3.0701 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2018 წელს: **1 USD=2.5345 ლარი; 1 EUR=2.9913 ლარი.**

2.9. ახალი სტანდარტები, რომლებიც გამოიცა და ჯერ არ არის დანერგილი

სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის ჯერ ძალაში არ შესულა, და რომლებმაც შეიძლება იმოქმედოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე, მოცემულია ქვემოთ. კომპანიის ამ სტანდარტების მიღებას აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე. ხელმძღვანელობა არ მოელის, რომ ახალი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

– ფასს 16 - „იჯარა“

2015 წლის იანვარში, ბასსს-მა გამოუშვა **ფასს 16** „იჯარა“, რომელიც ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენება იმ შემთხვევაში, თუ შემოსავლის შესახებ ახალი სტანდარტის - **ფასს 15**-ის გამოყენებაც იმავე თარიღით მოხდება. **ფასს 16**-ის გამოყენება შეიძლება მთლიანად რეტროსპექტული ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომით. **ფასს 16** მოითხოვს, რომ მოიჯარებმა იჯარები აღრიცხონ სტანდარტის ფარგლებში იმის ანალოგიურად, როგორც ამჟამად ხდება ფინანსური იჯარის აღრიცხვა **ბასს 17**-ის „იჯარა“ მიხედვით. მოიჯარეები აღიარებენ აქტივის „გამოყენების უფლებას“ და შესაბამის ფინანსურ ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე. აქტივის ამორტიზება მოხდება იჯარის ვადის განმავლობაში და ფინანსური ვალდებულება შეფასდება ამორტიზებული ღირებულებით. მოიჯარეებმა ყველა აღიარებული იჯარისთვის ერთიანი მოდელი უნდა გამოიყენონ, თუმცა მათ უფლება აქვთ არ აღიარონ „მოკლევადიანი“ იჯარები და იჯარები „დაბალი ღირებულების მქონე“ აქტივებით. მეიჯარის აღრიცხვა არსებითად იგივე რჩება, რასაც **ბასს 17** ითვალისწინებს. კომპანია არ მოელის **ფასს 16**-ის ვადაზე ადრე მიღებას და ამ ეტაპზე აფასებს **ფასს 16**-ის გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები:

	31 დეკემბერი, 2018 წ.	31 დეკემბერი, 2017 წ.
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	101 651	916
	<u>101 651</u>	<u>916</u>

3.2. დებიტორული დავალიანება მიწოდებიდან და მომსახურებიდან:

	31 დეკემბერი, 2018 წ.	31 დეკემბერი, 2017 წ.
ადგილობრივი დამკვეთები	55 884	98 285
არარეზიდენტი დამკვეთები	54 543	472
დებიტორული დავალიანების გაუფასურება	(33 231)	(26 195)
	<u>77 196</u>	<u>72 562</u>

3.3. მარაგები:

	31 დეკემბერი, 2018 წ.	31 დეკემბერი, 2017 წ.
სხვა მარაგები	35 966	37 110
	<u>35 966</u>	<u>37 110</u>

3.4. სხვა მიმდინარე აქტივები:

	31 დეკემბერი, 2018 წ.	31 დეკემბერი, 2017 წ.
სხვა მიმდინარე აქტივები	10 473	-
	10 473	-

3.5. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები:

	მიწა და შენობა- ნაგებობები (GEL)	ავტოსატრანსპორტო საშუალებები (GEL)	მანქანა- დანადგარები (GEL)	კომპიუტერული ტექნიკა და აღჭურვილობა (GEL)	საოფისე აღჭურვილობა (GEL)	ავეჯი (GEL)	სხვა (GEL)	სხვა (არამატ. აქტივები) (GEL)	სულ (GEL)
ისტორიული ღირებულება									
ნაშთი 2016 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	4 744 835	180 178	136 787	52 730	10 303	3 387	688 119	8 475	5 824 813
დამატება	1 017	34 412		1 663	1 576	390	133 188	-	172 245
(შემცირება)	-	(29 308)		-	-	-	-	-	(29 308)
გადაფასება	-	-	-	-	-	-	-	-	-
სულ ისტორიული ღირებულება 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4 745 852	185 282	136 787	54 393	11 879	3 777	821 307	8 475	5 967 750
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება									
ნაშთი 2016 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	-	4 368	71 978	13 415	5 672	1 925	66 618	-	163 976
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	110 102	18 677	19 345	4 520	1 763	746	117 714	-	272 865
ჩამოწერა	-	(7 459)		-	-	-	-	-	(7 459)
სულ აკუმულირებული ცვეთა ღირებულება 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	110 102	15 586	91 322	17 935	7 435	2 671	184 332	-	429 382
ნარჩენი ღირებულება 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4 635 750	169 696	45 465	36 458	4 444	1 107	636 975	8 475	5 538 368

	მიწა და შენობა- ნაგებობები (GEL)	ავტოსატრანსპორტო საშუალებები (GEL)	მანქანა- დანადგარები (GEL)	კომპიუტერული ტექნიკა და აღჭურვილობა (GEL)	საოფისე აღჭურვილობა (GEL)	ავეჯი (GEL)	სხვა (GEL)	არამატერიალური აქტივები (GEL)	სულ (GEL)
ისტორიული ღირებულება									
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4 745 852	185 282	136 787	54 393	11 879	3 777	821 307	8 475	5 967 750
დამატება	-	-	-	1 646	508	153	30 484	-	32 791
(შემცირება)	-	-	(13 207)	-	-	-	-	-	(13 207)
გადაფასება	-	-	-	-	-	-	-	-	-
სულ ისტორიული ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4 745 852	185 282	123 580	56 038	12 387	3 930	851 790	8 475	5 987 334
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება									
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	110 102	15 586	91 322	17 935	7 435	2 671	184 332	-	429 382
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	110 139	18 952	13 593	4 639	1 705	405	124 266	-	273 699
ჩამოწერა	-	-	(3 645)	-	-	-	-	-	(3 645)
სულ აკუმულირებული ცვეთა ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	220 241	34 538	101 270	22 574	9 140	3 076	308 597	-	699 437
ნარჩენი ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4 525 611	150 744	22 310	33 464	3 248	854	543 193	8 475	5 287 897

3.6. ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან:

	31 დეკემბერი, 2018 წ.	31 დეკემბერი, 2017 წ.
რეზიდენტი კომპანიები	130 717	28 245
	<u>130 717</u>	<u>28 245</u>

3.7. საგადასახადო ვალდებულებები:

	31 დეკემბერი, 2018 წ.	31 დეკემბერი, 2017 წ.
საანგარიშგებო თარიღის შემდგომ ასახული გადასახადები	11 935	26 665
ავანსის დღე	215 847	215 847
ერთიანი საგადასახადო ბარათი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	(6 628)	(19 438)
	<u>221 155</u>	<u>223 074</u>

3.8. მოკლევადიანი სესხები:

	31 დეკემბერი, 2018 წ.	31 დეკემბერი, 2017 წ.
მოკლევადიანი ვალდებულება ფინანსური ინსტიტუტის მიმართ (ძირი)	333 918	298 598
მოკლევადიანი ვალდებულება ფინანსური ინსტიტუტის მიმართ (პროცენტი)	4 031	4 204
	<u>337 950</u>	<u>302 802</u>

3.9. სხვა მიმდინარე ვალდებულებები:

	31 დეკემბერი, 2018 წ.	31 დეკემბერი, 2017 წ.
მიღებული ავანსები	-	38 814
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	77	3 500
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	622 000	735 000
	<u>622 077</u>	<u>777 314</u>

3.10. გრძელვადიანი სესხები:

	31 დეკემბერი, 2018 წ.	31 დეკემბერი, 2017 წ.
გრძელვადიანი ვალდებულება ფინანსური ინსტიტუტის მიმართ (ძირი)	965 721	1 258 976
გრძელვადიანი ვალდებულება იურიდიული პირის მიმართ (ძირი)	355 050	-
გრძელვადიანი ვალდებულება იურიდიული პირის მიმართ (პროცენტი)	16 387	-
	<u>1 337 158</u>	<u>1 258 976</u>

3.11. სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები:

	31 დეკემბერი, 2018 წ.	31 დეკემბერი, 2017 წ.
გრძელვადიანი დივიდენდი	4 020 505	20 505
გადასახდელი მოგების გადასახადი გაუნაწილებელი მოგებიდან	205 466	-
	<u>4 225 972</u>	<u>20 505</u>

სხვა გრძელვადიან ვალდებულებებს წარმოადგენს წმინდა მოგებიდან განაწილებული დივიდენდი, რომლის გადახდის ვადა არ არის განსაზღვრული (დამოკიდებულია კომპანიის ფინანსურ შესაძლებლობებზე).

მოგება განაწილებულია შემდეგი პროპორციით:

შპს „აგრიკომი“ - 51%

შპს „თაუერ ქეფითელ თრეიდინგი“ - 49%

3.12. საწესდებო კაპიტალი:

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „ფოთის მარცვლეულის ტერმინალის“ საწესდებო კაპიტალი არ აქვს (ნულია).

3.13. შემოსავალი რეალიზაციიდან და მომსახურებიდან:

	2018 წელი	2017 წელი
გაყიდვები და მომსახურება რეზიდენტ პირებზე	276 437	770 091
გაყიდვები ექსპორტზე	281 797	106 112
მომსახურება არარეზიდენტებზე	2 430 487	6 068 479
	<u>2 988 721</u>	<u>6 944 681</u>

3.14. რეალიზებული საქონლის და მომსახურების თვითღირებულება:

	2018 წელი	2017 წელი
შესყიდვები	1 982 237	4 867 097
	<u>1 982 237</u>	<u>4 867 097</u>

3.15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები:

	2018 წელი	2017 წელი
თანამშრომელთა ანაზღაურება	535 990	736 383
საკანცელარიო ხარჯი	461	1 327
კომუნიკაციის ხარჯები	4 283	4 276
კომუნალური ხარჯები	784	2 435
საიჯარო ხარჯები	5 500	6 500
საგადასახადო ხარჯები	32 172	34 105
საბანკო ხარჯები	2 496	11 414
დაზღვევის ხარჯები	13 911	8 787
ავტომანქანის და სხვა ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციის ხარჯები	853	17 185
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8 459	38 365
	<u>604 909</u>	<u>860 776</u>

3.16. სხვა საოპერაციო ხარჯები:

	2018 წელი	2017 წელი
საოპერაციო იჯარა	101 695	101 695
ელექტროენერგიის ხარჯი	31 340	94 106
თბომავლის საწვავის ხარჯები	7 705	11 465
ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციის ხარჯები	27 314	78 654
ცვეთის ხარჯები	262 135	273 698
სხვა საოპერაციო ხარჯები	9 160	9 912
	439 348	569 530

3.17. ფინანსური ხარჯი:

	2018 წელი	2017 წელი
მიღებულ სესხზე დარიცხული პროცენტი	136 561	67 405
საბანკო გარანტიის ხარჯები	6 002	6 002
	142 562	73 407

3.18. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი:

	2018 წელი	2017 წელი
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	14 384	1 733
	14 384	1 733

3.19. სხვა არასაოპერაციო ხარჯი:

	2018 წელი	2017 წელი
ხარჯად აღიარებული ჯარიმები და საურავები	4	85
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	-	571
	4	656

3.20. საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების შეჯერება
ვალდებულებების მოძრაობასთან:

სასესხო და სხვა ფინანსური ვალდებულება	ვალდებულება 31.12.2017 მდე	გადახდა ფულადი სახსრებით	დაფარვა რეკლასიფიკაციით ან	დადებითი საკუროს სხვაობა	ვალდებულებების აღება ფულადი სახსრების	ვალდებულებების აღება რეკლასიფიკაციით ან	უარყოფითი საკუროს სხვაობა	ვალდებულება 31.12.2018 მდე
	GEL	GEL	GEL	GEL	GEL	GEL	GEL	GEL
სასესხო ვალდებულება ფინანსური ინსტიტუტის მიმართ	1 557 574	292 784	-	172 650	-	-	207 499	1 299 639
სასესხო ვალდებულება არასაფინანსო დაწესებულების (იურიდიული პირის) წინაშე	-	-	-	-	355 050	-	-	355 050
გადახდილი დივიდენდები	20 505	-	-	-	4 000 000	-	-	4 020 505
სულ:	1 578 079	292 784	-	172 650	4 355 050	-	207 499	5 675 194

საპროცენტო ვალდებულება	ვალდებულება 31.12.2017 მდე	გადახდა	დადებითი საკუროს სხვაობა	პროცენტის დარიცხვა	უარყოფითი საკუროს სხვაობა	ვალდებულება 31.12.2018 მდე
	GEL	GEL	GEL	GEL	GEL	GEL
გადასახდელი პროცენტები ფინანსური ინსტიტუტის მიმართ	4 204	120 483	-	120 173	137	4 031
გადასახდელი პროცენტები არასაფინანსო დაწესებულების (იურიდიული პირის) მიმართ	-	-	-	24 899	-	16 387
სულ:	4 204	120 483	-	145 072	137	20 419

სასესხო და სხვა ფინანსური ვალდებულება	ვალდებულება 31.12.2016 მდე	გადახდა ფულადი სახსრებით	დაფარვა რეკლასიფიკაციით ან	დადებითი საკუროს სხვაობა	ვალდებულებების აღება ფულადი სახსრების	ვალდებულებების აღება რეკლასიფიკაციით ან	უარყოფითი საკუროს სხვაობა	ვალდებულება 31.12.2017 მდე
	GEL	GEL	GEL	GEL	GEL	GEL	GEL	GEL
სასესხო ვალდებულება ფინანსური ინსტიტუტის მიმართ	-	123 508	-	1 430	1 566 110	-	116 402	1 557 574
გადახდილი დივიდენდები	20 505	-	-	-	-	-	-	20 505
სულ:	20 505	123 508	-	1 430	1 566 110	-	116 402	1 578 079

საპროცენტო ვალდებულება	ვალდებულება 31.12.2016 მდე	გადახდა	დადებითი საკუროს სხვაობა	პროცენტის დარიცხვა	უარყოფითი საკუროს სხვაობა	ვალდებულება 31.12.2017 მდე
	GEL	GEL	GEL	GEL	GEL	GEL
გადასახდელი პროცენტები ფინანსური ინსტიტუტის მიმართ	-	-	-	4 204	-	4 204
გადასახდელი პროცენტები ფიზიკური პირის მიმართ	-	-	-	-	-	-
სულ:	-	-	-	4 204	-	4 204

3.21. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების წინასწარი გაანგარიშება მიზნად ისახავს სავარაუდო ფასის მიახლოებით განსაზღვრას, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გასაყიდად ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის თანმიმდევრული ტრანზაქციის გზით ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების დღეს. ამასთან, გაურკვევლობის გათვალისწინებით და სუბიექტური განსჯის მეშვეობით, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იქნეს გაგებული როგორც დაუყოვნებლივ რეალიზებადი, აქტივების ნასყიდობის გზით ან ვალდებულებათა გადაცემის მეშვეობით.

კომპანიამ განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები შეფასების გზით. შეფასების მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც უნდა იქნეს მიღებული აქტივის გასაყიდად ან გადახდილი ვალდებულების გადაცემისთვის თანმიმდევრული ტრანზაქციის ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების დღეს.

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მიახლოებით მათი საბალანსო ღირებულების ტოლია.

3.22. რისკების მართვა

მმართველობითი სისტემა

კომპანიის რისკისა და ფინანსური მართვის სისტემის მთავარი მიზანია დაცვა ისეთი მოვლენებისგან, რომლებიც აბრკოლებს კომპანიის მიზნების მიღწევას და შესაძლებლობების გამოყენებას. კომპანია აცნობიერებს რისკების ეფექტიანი მართვის სისტემის მნიშვნელობას. დანერგილია პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს კომპანიის რისკზე ორიენტირებულობას, რისკის მართვას, კონტროლსა და საქმიანობის სტანდარტებს.

კომპანია დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა იწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. კომპანია მართავს საკრედიტო რისკის დონეს, რისთვისაც შემუშავებული აქვს საკრედიტო რისკის საერთო პოლიტიკა, რომელშიც შეფასებული და განსაზღვრულია, რა წარმოადგენს კომპანიისთვის საკრედიტო რისკს.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიას შეეძლება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა, მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს კომპანიის ფუნქციონირებაზე. ლიკვიდურობის რისკის წინდახედული მექანიზმი გულისხმობს საკმარისი თანხისა და საკრედიტო რესურსების ქონას, რათა დაკმაყოფილებულ იქნას ბაზრის მოთხოვნები.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევეს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვალებადი ღირებულებით), რომელსაც ატარებს პროცენტიანი აქტივი, როგორიცაა სესხი, მცოცავი საპროცენტო განაკვეთის არსებობის გამო. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება, როდესაც მოცემული ვადიანობის ფაქტობრივი ან მოსალოდნელი აქტივები მეტია ან ნაკლებია იმავე ვადიანობის ფაქტობრივ ან მოსალოდნელ ვალდებულებებზე.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაზე. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

მგრძნობელობის ანალიზი

ლარის შესაძლო გამყარება/შესუსტება, როგორც ეს ქვემოთაა ნაჩვენები, ევროს, აშშ დოლარისა და რუსული რუბლის მიმართ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გავლენას მოახდენს უცხოურ ვალუტაში აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე და კაპიტალზე და მოგება/ზარალზე გადასახადების შემდეგ ქვემოთ მოცემული თანხების ოდენობით. სავალუტო დინამიკა პირდაპირ გავლენას არ მოახდენს სხვა მთლიან შემოსავალსა თუ კაპიტალზე.

ანალიზის თანახმად ივარაუდება, რომ ყველა სხვა ცვლადები, განსაკუთრებით საპროცენტო განაკვეთები, რჩება უცვლელი და არ ითვალისწინებს პროგნოზული გაყიდვების და შესყიდვების ზემოქმედებას.

31 დეკემბერი, 2018 წ.			
	EURO	USD	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	0.4	97 712	97 713
დებიტორული დავალიანება მიწოდებიდან და მომსახურებიდან	-	54 543	54 543
აქტივები სულ:	0.4	152 256	152 256
მოკლევადიანი სესხები	-	337 950	337 950
გრძელვადიანი სესხები	-	965 721	965 721
ვალდებულებები სულ:	-	1 303 671	1 303 671
ნეტო შედეგი	0.4	(1 151 415)	(1 151 415)
Euro (10% ცვლილება)	0.04		
USD (10% ცვლილება)	(115 142)		

31 დეკემბერი, 2017 წ.

	EURO	USD	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	23	-	23
აქტივები სულ:	23	-	23
ნეტო შედეგი	23		23
Euro (10% ცვლილება)	2		
USD (10% ცვლილება)	-		

3.23. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

განხორციელებული ტრანზაქციები დირექტორთან და პარტნიორთან

	1 ლარის სიზუსტით	
	ტრანზაქციის ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდი	დაუფარავი ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდი
ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	-	90 000
დებიტორული დავალიანება	-	12 103
მიღებული სესხები და გადასახდელი პროცენტები	-	379 949
შემოსავლები	543 900	-
იჯარა	101 695	-
ხელფასები და სხვა სარგებელი	61 881	-
გადახდილი ავანსები	-	1 415 000
ვალდებულება დამფუძნებლის წინაშე	-	622 000
საპროცენტო ხარჯი	24 899	-
ძირითადი საშუალების შეძენა	10000	-

განხორციელებული ტრანზაქციები დირექტორთან და პარტნიორთან

1 ლარის სიზუსტით

	ტრანზაქციის ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდი	დაუფარავი ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდი
ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	-	(1,415,000)
დებიტორული დავალიანება	-	61,042
შემოსავლები	860,594	-
ოჯარა	120,000	-
ხელფასები და სხვა სარგებელი	70,200	-

ბასს 24-ის („დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“) მიხედვით, მხარეები ითვლებიან დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. შესაძლო დაკავშირებული მხარეების თითოეული შემთხვევის განხილვისას ყურადღება უნდა მიექცეს არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას, არამედ იმასაც, თუ როგორია მათ შორის ურთიერთობა. დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ განხორციელდეს იმავე პირობებზე და თანხებზე, როგორზეც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

3.24. ფინანსური ანგარიშგების შესადარისი ინფორმაციის ცვლილებები

2018 წლის განმავლობაში კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ბანკის კონვერტაციის ხარჯი/შემოსავალი, რომელიც 2017 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ჰქონდა მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან, წარმოედგინა როგორც საბანკო ხარჯი და სხვა არასაოპერაციო შემოსავალი. აღნიშნული შესწორებულ იქნა თითოეული შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების მუხლის

შესწორებით წინა პერიოდში. შემდეგი ცხრილი აჯამებს, აღნიშნული ცვლილების გავლენას ფინანსური ანგარიშგების შესაბამის მუხლზე:

2017 წელი	რეკლასიფიკაციით გამოწვეული ცვლილებების გავლენა		
	წარდგენილი GEL	კორექტირება GEL	გადასინჯული GEL
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობებიდან	(117 437)	3 224	(114 213)
საბანკო ხარჯები	(7 829)	(3 585)	(11 414)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	3	361	364

3.25. გაუთვალისწინებელი გარემოებები

კანონმდებლობა

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ამოქმედდა მოგების გადასახადის დაბეგვრის ახალი რეჟიმი - ე.წ. „ესტონური მოდელი“, რომელიც თვისებრივად განსხვავდება მანამდე მოქმედი მოგების გადასახადით დაბეგვრის რეჟიმისაგან. ამასთან, დაბეგვრის ეს რეჟიმი არის იშვიათი, კერძოდ, საქართველო არის მეორე ქვეყანა ევროპაში (ესტონეთის შემდეგ), რომელმაც მოგების გადასახადით დაბეგვრის ეს მოდელი აირჩია. მოდელის თავისებურები, თვისობრივი სიახლე და საგადასახადო პრაქტიკის არარსებობა ქმნის გარკვეულ განუზღვრელობას მოგების გადასახადით დაბეგვრის საკითხში. მართალია, მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ მის მიერ განხორციელებული მიდგომა საგადასახადო საკითხების მიმართ ადეკვატურია ამ მომენტში საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო ინტერპრეტაციების მიმართ, თუმცა არ არის გამორიცხული ის, რომ ეს ინტერპრეტაციები შემდგომში შეიცვალოს.

სასამართლო დავები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას მნიშვნელოვანი სასამართლო დავები არ ჰქონდა.

3.26. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

- შპს „ფოთის მარცვლეულის ტერმინალმა“ აიღო მოცულობითი ტარიფი ტრანზიტულ ტვირთებზე საქართველოს რკინიგზაზე. რაც ნიშნავს, რომ 2019 წლის 20 იანვრიდან 2020 წლის 20 იანვრამდე თუ მოხდა 50000 ტონაზე მეტი ტვირთის გადაზიდვა სომხეთის მიმართულებით ტრანზიტად, რკინიგზის მომსახურებაში გადაიხდის ტონაზე

5 აშშ დოლარით ნაკლებს. სომხეთის რეზიდენტ კლიენტებთან წარმოებული მოლაპარაკების და შესაბამისად დაკლებული ტარიფის ხარჯზე, მოიმატა სატრანზიტო გადაზიდვებმა ტერმინალის მეშვეობით. ტვირთბრუნვამ ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისათვის გადააჭარბა 50000 ტონას.

- შპს „ფოთის მარცვლეულის ტერმინალმა“ აიღო მოცულობითი ტარიფი ადგილობრივ გადაზიდვებზე რკინიგზაზე, რაც გულისხმობს, რომ თუ 2019 წლის 19 აგვისტოდან 2020 წლის 19 აგვისტომდე, „ფოთის მარცვლეულის ტერმინალმა“ საქართველოს სხვადასხვა სადგურების მიმართულები შეასრულა 65000 ტონაზე მეტი ტვირთის გადაზიდვა, მაშინ მოხდება ტარიფის დაკორექტირება. ჯერჯერობით ეს ამოცანა მიღწეული არ არის.

- შპს „ფოთის მარცვლეულის ტერმინალმა“ გაიმარჯვა ამერიკული კომპანია Land O'Lakes-ის მიერ ჩატარებულ ტენდერში, რაც გულისხმობს, 2019 წლის დეკემბერში ქვეყანაში განხორციელდება მაგარი წითელი ამერიკული ხორბლის #2 ან უკეთესის პირველი კომერციული იმპორტი. საუბარია 27000 ტონა ხორბალზე. ეს საკითხი მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ სცდება მხოლოდ კომპანიის კომერციულ ინტერესს და მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყნის მიერ ხორბლის ბაზრის დივერსიფიცირების კუთხით დასახული ამოცანის ფარგლებში. ხელშეკრულება უკვე ხელმოწერილია და ტრანსპორტირება უკვე მალე დაიწყება.

- ამერიკული ხორბლის პროექტის ფარგლებში, ქვეყანაში პირველად ხორციელდება ე.წ. თრეიდ ფაინანსით (trade finance) დაფინანსებული საბანკო ოპერაცია. აქ იგულისხმება, რომ ბანკი, პროექტის უზრუნველსაყოფად სრულად იყენებს თავად საქონელს. აღნიშნული საკითხის შესრულება გახდა შესაძლებელი საქართველოს საგადასახადო კოდექსში და საბაჟო ინსტრუქციებში შეტანილი ცვლილებების ხარჯზე. ამ თემაზე ბევრი წელი მუშაობდნენ როგორც ბანკები, ისე კომერციული სექტორი და ასევე, თავად საბაჟო დეპარტამენტის მენეჯმენტი. თრეიდ ფაინანსის ინსტრუმენტის გამოყენება ქვეყანაში მოხდება პირველად.

- შპს „აგრიკომმა“ ფოთის მარცვლეულის ტერმინალში თავისი კუთვნილი 51% წილიდან 2% მიჰყიდა მეორე დამფუძნებელს და მეპაიეს - Tower Capital Trading-ს. 2%-ის

ფასმა შეადგინა 175,000 ლარი, რაც დადგინდა სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შეფასებით.

- შპს „აგრიკომმა“ შპს „ფოთის მარცვლეულის ტერმინალში“ გაზარდა კომპანიის კაპიტალი 3300000 ლარამდე, საიდანაც უკვე შევსებულია 1700000 ლარი ფულადი შენატანით. დარჩენილი თანხით ან კვლავ შეივსება კაპიტალი თანხობრივად, ან მოხდება კაპიტალის შესაბამისი შემცირება.



შპს აუდიტორი კონცერნი „ცოდნისა“

საიდენტიფიკაციო № 211344188. www.tsodnisa.ge ელ. ფოსტა: info@tsodnisa.ge
თბილისი, 0177, ვაჟა-ფშაველას გამზირი №41, IV სართული. ტელ.: 239-33-50, 239-33-56

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ფოთის მარცვლეულის ტერმინალი“-ს პარტნიორებს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ფოთის მარცვლეულის ტერმინალი“-ს (საიდენტიფიკაციო კოდი - 415082608) (შემდგომში - „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ების) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან „ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA-კოდექსი) და საქართველოში მოქმედი ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებული ეთიკის ნორმების შესაბამისად და ჩვენ აგრეთვე შევასრულეთ IESBA-კოდექსის და ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებები. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე,

რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს საწარმოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგად გაიცა აღნიშნული დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა:

გიორგი ცერცვაძე

შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“

საქართველო, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 41.

27 სექტემბერი, 2019 წელი



მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ განხორციელებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და განმარტებით შენიშვნებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებული მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც გარემოებები ამას შეუძლებელს ხდის.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ეფექტიანი და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ასევე ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშო პერიოდისთვის დადასტურებულია ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია 2019 წლის 27 სექტემბერს:

დირექტორი -----

მთ. ბუღალტერი -----



რამაზ ჯამუტაშვილი

ნათელა კალანდაძე



**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის**

(1 ლარი)

	31 დეკემბერი, 2018 წ.	31 დეკემბერი, 2017 წ.	შენიშვნა
მოკლევადიანი აქტივები:			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	101 651	916	3.1.
დებიტორული დავალიანება მიწოდებიდან და მომსახურებიდან	77 196	72 562	3.2.
მარაგები	35 966	37 110	3.3.
გადახდილი ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები	1 418 731	1 425 089	
სხვა მიმდინარე აქტივები	10 473	-	3.4.
მოკლევადიანი აქტივები სულ:	1 644 016	1 535 677	
გრძელვადიანი აქტივები:			
ძირითადი საშუალებები	5 027 288	5 279 423	3.5.
არამატერიალური აქტივები	8 475	8 475	
გრძელვადიანი აქტივები სულ:	5 035 763	5 287 898	
აქტივები სულ:	6 679 779	6 823 575	
მოკლევადიანი ვალდებულებები:			
ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	130 717	28 245	3.6.
საგადასახადო ვალდებულებები	221 155	223 074	3.7.
მოკლევადიანი სესხები	337 950	302 802	3.8.
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	622 077	777 314	3.9.
მოკლევადიანი ვალდებულებები სულ:	1 311 898	1 331 436	
გრძელვადიანი ვალდებულებები:			
გრძელვადიანი სესხები	1 337 158	1 258 976	3.10.
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	4 225 972	20 505	3.11.
მოკლევადიანი ვალდებულებები სულ:	5 563 130	1 279 482	
კაპიტალი			
დაგროვილი მოგება/(ზარალი)	(195 249)	4 212 657	3.12
კაპიტალი სულ:	(195 249)	4 212 657	
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	6 679 779	6 823 575	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2019 წლის 27 სექტემბერს და ხელმოწერილია:

დირექტორი _____ რამაზ ჟამუტაშვილი

მთ. ბუღალტერი _____ ნათელა კალანდაძე

თანდართული შენიშვნები მე-11-დან 33-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გათვალისწინებულ ნაწილს.



მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	2018 წელი	2017 წელი	შენიშვნა
შემოსავალი რეალიზაციიდან და მომსახურებიდან	2 988 721	6 944 681	3.13.
რეალიზებული საქონლის და მომსახურების	(1 982 237)	(4 867 097)	3.14.
თვითღირებულება			
მოგება ძირითადი საქმიანობიდან	1 006 484	2 077 584	
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(604 909)	(860 776)	3.15.
საექვო მოთხოვნების კორექტირება	(7 036)	(3 119)	
სხვა საოპერაციო ხარჯები	(439 348)	(569 530)	3.16.
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან	(44 810)	644 159	
ფინანსური ხარჯი	(142 562)	(73 407)	3.17.
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობებიდან	(29 447)	(114 212)	
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	14 384	1 733	3.18.
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(4)	(656)	3.19.
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	(202 440)	457 617	
მოგების გადასახადი	(205 466)	-	
წლის წმინდა მოგება	(407 906)	457 617	
წლის სრული შემოსავალი	(407 906)	457 617	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2019 წლის 27 სექტემბერს და ხელმოწერილია:

დირექტორი

რამაზ ჭამუტაშვილი

მთ. ბუღალტერი

ნათელა კალანდაძე

თანდართული შენიშვნები მე-11-დან 33-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება/ (ზარალი)	სულ სათაო კომპანიის მფლობელებზე მიკუთვნებადი	არამაკონტროლებელ წილზე მიკუთვნებადი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 31.12.2016-თვის	-	3 755 041	1 020 108	2 734 933	3 755 041
საანგარიშგებო პერიოდის ზარალი	-	457 617	233 385	224 232	457 617
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	-	4 212 658	1 253 493	2 959 165	4 212 658
ნაშთი 31.12.2017-თვის	-	4 212 658	1 253 493	2 959 165	4 212 658
საანგარიშგებო პერიოდის ზარალი	-	(407 906)	(208 032)	(199 874)	(407 906)
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	-	3 804 752	1 045 460	2 759 291	3 804 752
განაწილებული დივიდენდი	-	(4 000 000)	(4 000 000)	-	(4 000 000)
სულ მესაკუთრეთთან განხორციელებული ოპერაციები	-	(4 000 000)	(4 000 000)	-	(4 000 000)
ნაშთი 31.12.2018-თვის	-	(195 248)	(2 954 540)	2 759 291	(195 248)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2019 წლის 27 სექტემბერს და ხელმოწერილია:

დირექტორი

რამაზ ჯამუტაშვილი

მთ. ბუღალტერი

ნათელა კალანდაძე

თანდართული შენიშვნები მე-11-დან 33-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	2018 წელი	2017 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მყიდველებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	2 948 181	7 194 840
სხვა შემოსულობანი საოპერაციო საქმიანობიდან	-	158 000
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(2 092 768)	(6 599 596)
გაცემული შრომის ანაზღაურება	(408 544)	(568 030)
ანგარიშვალდებულ პირებზე გაცემული ავანსები	77	-
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	(161 785)	(198 500)
გადახდილი მოგების გადასახადი		(35 000)
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(6 424)	(14 129)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	278 736	(62 415)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	(10 000)	(23 777)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	(10 000)	(23 777)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:		
სესხების აღება	355 050	1 566 110
სესხების დაფარვა	(292 784)	(123 508)
გადახდილი პროცენტები	(120 483)	(63 222)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	(171 217)	(50 620)
ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა / კლება (ნეტო)	3 216	(3 234)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	100 735	(140 045)
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	916	140 961
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	101 651	916

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2019 წლის 27 სექტემბერს და ხელმოწერილია:

დირექტორი _____ რამაზ ჟამუტაშვილი

მთ. ბუღალტერი _____ ნათელა კალანდაძე

თანდართული შენიშვნები მე-11-დან 33-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

